№ 9
პარასკევი, 12 იანვარი, 1901 წ.

გაზეთის ფასი:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1901

ივერია

ტფილისი

№ 9
პარასკევი, 12 იანვარი, 1901 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს, 12 იანვარს,

ეკატერინე თადეოზის ასულის სტაროსელსკის

გარდაცვალების მეცხრე დღეს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი. წირვა დაიწყება დილის 10 საათზედ. (1—7—1)

„ივერია"

გამოვა 1901 წელსაც
იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ივერიის" რედაქცია,
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრც. საზოგადოების" კანცელარიას
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა და
ბაქოში, ხიდეკელის წიგნის მაღაზიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ქალანთაროვის ქარვასლის პირ და-პირ.
ტელეფონი № 227.
საფოსტო ადრესი:
ТИФЛИСЪ. Редакція „ИВЕРІА".

შეღავათი წლიურ ხელის-მომწერთათვის: ვინც გაზეთს ამ თავით მთელის წლით დაიბარებს, იმას შეუძლიან წლის ხელ-მოსაწერი ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანოს ამგვარად: ხელის მოწერის დროს 3 მან., პირველ მარტს—2 მან., პირველ მაისს—3 მან. და პირველ სექტემბერს—2 მან. სოფლის მასწავლებელთ გაზეთი წელიწადში 8 მანეთად დაეთმობათ, ნახევარის წლით—4 მან.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ნ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. ე. ჩიქოვანი. 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაგანახიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ქ. ი. გძელიშვილი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—$1^{1}/_{2}$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. ნ. შპაკოვსკი.—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

გ. ა. თარხანოვი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი. $7^{1}/_{2}$—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა
დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 საათ.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. გ. გეზირგანოვი, შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი, საქირურგო.—$12^{1}/_{2}$—$1^{1}/_{2}$ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^{1}/_{2}$—2 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

სამკურნალო კაბინეტი

დოქტორის
ი. იაკ. გოკიელისა,
იღებს **ვენერიულ** (სიფილისი), **საშარდე, კანის და შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს.** წამლობა ნერვების სისუსტისა ელექტრონით.

ავადმყოფებს მიიღებს დილის 9—12 ს. და საღამოს 5—8 საათამდე. მიხეილისა და ნემეცთა ქუჩების კუთხე, № 81, სლივიცკის სახლი. შესავალი ნემეცთა ქუჩიდგანა აქვს. (100—256—13)

მთავრობის განკარგულებანი

ხელმწიფე იმპერატორის ბრძანებით ებოძათ ვერცხლის მედლები „ერთგულობისათვის" ზედ წარწერით: ტყის დარაჯებს ტფილისის გუბერნიისა წავკისის მცხოვრებს ივანე კარაკლაშვილს და აზნაურს დიმიტრი ბადრიძეს, ქუთაისის გუბერნიის გლეხს იესე ლლონტს, თიონეთის მაზრის გლეხს მიხეილ მათურელს, ეკატერინოდარის სამრეწველო გარდასახადის გამწერ საკრებულოს წევრს პავლე წკირიას, ვაჭარს სპირ. სიხარულიძეს, სიღნაღის მაზრის გლეხს ივ. შავლიაშვილს, დუშეთის მაზრის გლეხს გრიგოლ კობახიძეს, ოქროს მედლები: ბათუმის პირველ გილდის ვაჭარს ნიკ. საბაშვილს, სააქციზო გამგეობის მოხელეს ფარ. ფიჩხიას, ამავე გამგეობის მოხელეს კირ. ცეცხლაძეს.

გამწესებულ იქმნა აზნ. ევ. მიქაბერიძე—სოხუმის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონად.

◆◆

ახალი ამბავი

⁂ კვირას, 14 იანვარს, ტფილისის წმ. ნინოს დედათა სასწავლებელი ნინოობას დღესასწაულობს. მოსწავლე ქალთათვის საღამოს გამართული იქმნება ბალი.

⁂ ხუთშაბათს, 11 იანვარს, დილით ტფილისში ჩამოვიდა ეჩმიაძინიდგან სრულიად სომეხთა კათალიკოზი მკრტიჩ I-ლი. კათალიკოზს რკინის გზის სადგურზედ მიეგებნენ ტფილისის პოლიცმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელი, ადგილო-

ფელეტონი

ნ. კ. მიხაილოვსკის ლიტერატურული მოღვაწეობა *).

როდესაც რუსულის ლიტერატურის სხვა-და სხვა ხანას ითვალისწინებთ, ძალა-უნებურად იქცევს თქვენს ყურადღებას ჯერ ბელინსკი, მერე დობროლიუბოვი და პისარევი, შემდეგ კი ჩერნიშევსკი და მიხაილოვსკი, რომლის მოღვაწეობა უფრო ხანგრძლივი და ნაყოფიერია. ამ მწერლების შესწავლა და შეთვისება საუცხოვოდ შეეფერება ჭაბუკობის სხვა-და-სხვა დროს, რადგან ეს მწერლები მაჩვენებელნი არიან რუსეთის საზოგადოების თანდათანობითის განვითარებისა და ევოლიუციისა. გიმნაზიებში ან საზოგადოდ საშუალო სასწავლებელში სწავლის დროს საუკეთესო ალაგი უჭირავს ჯერ აღტაცებულს კრიტიკოსს ბელინსკის, მერე ქრონოლოგიურ წეს-რიგზედ მოზარდთა ხელმძღვანელად ჰხდებიან დობროლიუბოვი, პისარევი და რაოდენადმე ჩერნიშევსკი, მაღალ სასწავლებლებში-კი საუკეთესო და საყვარელი ხელმძღვანელი ნ. მიხაილოვსკია. ამისი მიზეზი, სხვათა შორის, ისიც-კი არის, რომ ბელინსკი უფრო წმინდა ხელოვნების წარმომადგენელი კრიტიკოსია, ამასთანავე იმ ზოგად საზოგადოებრივ საგნების გადამწყვეტია, რომლებიც 40—50 წლების რუსეთის მცირე მოწინავე საზოგადოების ნაწილს აღელვებდნენ. ბელინსკის ნამდვილი მემკვიდრე დობროლიუბოვია, მაგრამ შემდეგში საზოგადოებრივი საგნები უფრო ფართოვდება, დასავლეთის მეცნიერების და მეტადრე პოზიტივიზმის გადმოტანა და გავრცელება რუსეთში აუცილებელს საჭიროებად ხდება და ამის შესრულებასაც კისრულობენ ჩერნიშევსკი და პისარევი. შემდეგ-კი, როდესაც ევროპაში მეცნიერება მეტს ალაგს იჭერს, ჩნდება აუარებელი ლიტერატურა დარვინიზმის სასარგებლოდ თუ საწინააღმდეგოდ და ამასთან პოზიტივური ფილოსოფიაც ჰბატონდება, ნ. მიხაილოვსკი აცნობს რუსეთს ევროპის მეცნიერებასა და აზროვნობას. ამ მოძრაობის ქვა-კუთხედად ამ დროს ევროპის მეცნიერებისა ითვლებიან ოგიუსტ კონტი, დარვინი, სპენსერი, ჯონ სტიუარტ მილი და კარლ მარქსი.

აი, ამ მწერლების აზრების საფუძვლიანი და ვრცელი გარჩევა, განმარტება და გადმონერგვა რუსულ ლიტერატურაში ნ. მიხაილოვსკიმ გაიხადა საგნად. ამ რთულსა და ძნელს მოვალეობას ნ. მიხაილოვსკი მეტად საქებურად ასრულებს. ის მარტო საუკეთესო პოპულიარიზატორი არ არის ევროპის მეცნიერებისა. ნ. მიხაილოვსკიმ იმდენი ორიგინალი აზრი წარმოსთქვა, რომ საფუძვლიანად დაიმსახურა სახელი რუსეთის საუკეთესო სოციოლოგიისა. ნ. მიხაილოვსკი იმდენად განვითარებულია, რომ არ ემორჩილება თანამედროვე მიმართულებას მეცნიერებასა და ლიტერატურაში და საზოგადოდ ცხოვრებაში, რომლის შემწეობითაც მეტად გამეფდა შრომის განაწილება, რაც თავის-თავად შეიქმნა შედეგი მეცნიერებისა და მრეწველობის გაფართოვებისა, მეტის ფაქტების აღმოჩენისა. დიდად ფართო ერუდიციითა და ფილოსოფიურ აზროვნებით აღჭურვილი, ნ. მიხაილოვსკი ეტრფის ფილოსოფიურს მსჯელობასა და ფართო დასკვნას. კიდეც ამისათვის ნ. მიხაილოვსკი საუცხოვო თანამედროვე კრიტიკოსია, მცოდნე მხატვრობისა და ხელოვნების სხვა-და-სხვა დარგისა, რომანისტი და ისტორიკოსიც არის, პოლიტიკო-ეკონომიც, ბიოლოგიცა და სოციოლოგიც. ავტორი ბელლეტრისტულ ნაწარმოებისა: „Въ перемежку", „Карьера Оладушникова", ნ. მიხაილოვსკი მშვენიერი კრიტიკოსია დოსტოევსკისა, გლებ უსპენსკისა, ლევ ტოლსტოისა და სხვებისა. მას ცხადად ატყვია ის მიმართულება, რომლითაც გამსჭვალულნი არიან ევროპის საუკეთესო კრიტიკოსები ტენი და ბრანდესი. ეს მიმართულება ის არის, რომ კრიტიკოსები თვალ-წინ უყენებენ მკითხველს მწერალის დედა-აზრს, იმ განსაკუთრებულს ძლიერს თვისებას, რომელიც იმორჩილებს ყოველს აზრსა და შეხედულობას მწერლისას. ამ მხრივ საინტერესოა „Жестокій талантъ", რომელშიაც გარჩეულია დოსტოევსკი და „Десница и шуйца", გრ. ტოლსტოისა.

ნ. მიხაილოვსკი იმდენად ფხიზელია, იმდენად ღრმა არის მისი სულიერი მოთხოვნილება, რომ მომეტებულს ყურადღებას აქცევს ევროპის მეცნიერების მოძრაობას და ხშირად ისეც მოხდება ხოლმე, რომ ევროპის მწერალთ უსწრებს რომელისამე საკითხის წამოყენებითა და განმარტებით. ამ მხრივ შესანიშნავია მისი მონაწილეობა რუსულს ისტორიაში და საზოგადოდ ბრბოს ფსიხოლოგიის შემუშავების საქმეში. დიდი ხანი არ არის, რაც ევროპაში, უფრო საფრანგეთსა და გერმანიაში, ის აზრი გამეფდა ზოგიერთ ცნობილ ისტორიულ და თანამედროვე კაცების შესახებ, რომ ისინი არანორმალური ადამიანები არიანო. საფრანგეთში, თუ არ ვცდებით, ცნობილთა კაცთა ამგვარი გამოკვლევა დაიწყეს ფსიხიატრის შარკოს მეთაურობით და ამ მხრივ თანამედროვე რომანისტი ზოლა გამოიკვ-

---

*) ნ. კ. მიხაილოვსკი დაიბადა 1842 წელს 15 ნოემბერს კალუგის გუბერნიაში, ღარიბ აზნაურის ოჯახში. სწავლა მიიღო სამთო კორპუსში. 18 წლისა იყო, როდესაც დაიწყო ლიტერატურული მოღვაწეობა, მაგრამ მომეტებული ყურადღება მაშინ მიიქცია, როდესაც 22 წლისა შეუდგა სპენსერის თხზულების განხილვას ვრცელს წერილში „Что такое прогрессъ"-სის სათაურით.

ბრივ სომეხთა ეპისკოპოსი და სომეხთა სამღვდელოება.

⁂ მათი ყოვლად უსამღვდელოესობანი გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე და იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდე გუშინ, 11 იანვარს, ტფილისიდგან წავიდნენ თავიანთ ეპარქიებში.

⁂ ტფილისის გამგეობის დარბაზში ოთხშაბათს, 10 იანვარს, სხდომა ჰქონდა ქალაქის გამგეობასა და ხმოსან ტეხნიკოსებს ბ-ნ რობის მიერ გამგეობაში წარდგენილ მამადავითის მთაზედ ფუნიკულერის პროექტის განსახილველად. სხდომამ დაადგინა: 1) შესდგეს განსაკუთრებული კომისია ტეხნიკოსთაგან გამ. წევრის თავ. ჩერქეზიშვილის თავმჯდომარეობით, რომელმაც უნდა გასინჯოს ის ადგილი, სადაც ფუნიკულერის ქვემო სადგური იქმნება გამართული, რომლის შემდეგაც მოილაპარაკონ იმის შესახებ, თუ ამ სადგურისათვის წყალი რა პირობით უნდა იხმაროს კონცესიონერმა, 2) რადგანაც კონცესიის ვადის გათავების შემდეგ შესაძლებელია ქალაქს აღარ მოუნდეს ცხენის რკინის გზისაგან ელექტრონული ძალის ხმარება ფუნიკულერის სამოქმედებლად, ამიტომ დაავალონ კონცესიონერს წარუდგინოს გამგეობას პროექტი იმის შესახებ, რომ ფუნიკულერს კონცესიის ვადის გათავების შემდეგ გაუკეთდეს განსაკუთრებული ამამოძრავებელი მანქანა, 3) დაავალონ ბ-ნ რობის დაწვრილებითი ცნობები წარუდგინოს გამგეობას 2 კვირის განმავლობაში მამა დავითზედ ფუნიკულერისათვის რკინის გზის გამართვის შესახებ და 4) დაინიშნოს ამ საქმის სხვა-და-სხვა კითხვების გასარჩევად შეერთებული სხდომა გამგეობისა და ტეხნიკოს ხმოსანთა სამშაბათს, 16 იანვარს.

⁂ დღეს, 12 იანვარს, სხდომა ექმნებათ გამგეობასა და საბჭოს საფინანსო კომისიას. სხდომამ საბოლოოდ უნდა განიხილოს ქალაქის 1901 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.

⁂ ახალ-ქალაქის მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარებელ მთავარს კომიტეტსა და ახალქალაქის კომიტეტს 1901 წლის 1 იანვრისთვის შემდეგი თანხა ჰქონიათ: მთავარს კომიტეტს შემოსვლია, 216,057 მან. 57 კაპ., დაუხარჯავს — 99,801 მან. 24 კაპ., დარჩენია 116,256 მან. 33 კაპ.; ახალქალაქის კომიტეტს შემოსვლია — 16,370 მან. 23 კაპ., დაუხარჯავს — 15,795 მან. 48 კაპ., დარჩენია — 574 მან. 75 კაპ., ხოლო ორივე კომიტეტს შემოსვლიათ — 232,427 მან. 80 კაპ., დახარჯულა — 115,596 მან. 72 კაპ. დარჩენიათ — 116,831 მან. 8 კაპ.

⁂ ფინანსთა მინისტრს ნება დაურთავს ტფილისის საკრედიტო საზოგადოებისათვის გამოსცეს ხუთპროცენტიანი ობლიგაციები. საკრედიტო საზოგადოებას შეუკვეთნია სახელმწიფო ქაღალდთა დამმზადებელ ექსპედიციისათვის მილიონ მანეთის ობლიგაციების დამზადება.

⁂ დღეს, 12 იანვარს, „ტფილისის კრუჟოკში“ ჩვეულებრივ სტუდენტთა საამხანაგო სადილის ნაცვლად გაიმართება სამუსიკო-საცეკვაო საღამო.

⁂ გასულ დეკემბერს ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორასთან არსებულ სახელმწიფო ბანკის შემნახველ კასის განყოფილებაში შეუტანიათ სულ 51,924 მან. 75 კაპ. და უკანვე გაუტანიათ — 4,984 მან. 91 კაპ. ხოლო მთელ 1900 წლის განმავლობაში ამ კასაში შეუტანიათ სულ 540,597 მან. და უკანვე გაუტანიათ 53,558 მან. 28 კაპ.

⁂ მოსკოვის საარხეოლოგიო საზოგადოებას განუზრახავს გამოსცეს კავკასიის და აღმოსავლეთის გუბერნიების გამოკვლევანი. საერო განათლების სამინისტრო ამ საქმისათვის 6000 მანეთის შემწეობას აღმოუჩენს.

⁂ მომავალ გაზაფხულზედ შეუდგებიან ამიერ-კავკასიის სახაზინო მიწებზედ დასახლებულ გლეხთა მიწების გაწესრიგების საქმეს.

⁂ სახალხო პირველ დაწყებითი განათლების თანხის გასაძლიერებლად გასულ წელს გადადებულ იქმნა ორასი ათასი მანეთი, სახალხო მასწავლებელთა საპენსიო კასას 136 ათას მანეთის შემწეობას აღმოუჩენენ.

⁂ შინაგან საქმეთა მინისტრს ნება დაერთო დააწესოს შემდეგი თანამდებობანი: პოლიციის ურიადნიკებისა (ევროპისა და აზიის რუსეთის ყველა გუბერნიებში), პოლიციის მოხელეთა (ქალაქებსა და სოფლებში) და საერობო დარაჯთა. („ახ. მიმ.“)

⁂ „ტფ. ფურც.“-ს ბაქოდგან ატყობინებენ, რომ ადგილობრივ ინტელიგენტთა წრემ განიზრახა დააარსოს ისეთი საზოგადო განათლების კურსები, როგორიც ამ ჟამად ტფილისში არსებობსო.

⁂ მიწად-მოქმედების სამინისტროს განზრახვა აქვს დააჯილდოვოს ის მემამულენი, რომელნიც სამეურნეო წარმოების ორგანიზაციას და ტეხნიკას გააუმჯობესებენ. უდიდესი ჯილდო — 3000 მან. და 300 მანეთად ღირებული ოქროს მედალი; მეორე ჯილდო — 2000 მან. და 200 მანეთიანი ოქროს მედალი და მესამე — 500 მან. და 100 მანეთიანი მედალი. („ცნ. ფურ.“).

⁂ ქალთა სამეურნეო ინსტიტუტის ორგანიზაცია ეხლა სავსებით გამორკვეულია. ინსტიტუტში მიიღებიან საშუალო განათლების დიპლომიანები; წლიური სწავლის ფასი — 100 მანეთი იქნება. ვინც ამ ინსტიტუტში კურსს დაამთავრებს, მიიღებს „ქალ-აგრონომის“ სახელწოდებას.

⁂ იმპერატრიცის მარიამ ალექსანდრეს ასულის ბრმათათვის სამზრუნველო სთხოვს პოლიცმეისტერს გამოაცხადოს, რომ ტფილისის ბრმათა სასწავლებელში შეიძლება მიღებულ იქმნას რამდენიმე მოსწავლე სწავლის ქირით (300 მან. წელიწადში). შემოსაყვანი ყმაწვილები უეჭველად ბრმანი უნდა იყვნენ 1—11 წლისა.

⁂ რიყის მცხოვრებთ შუამდგომლობა აღუძრავთ მთავარ-მართებლის წინაშე, რათა დაევალოს ქალაქის თვით-მმართველობას, მიიღოს საჭირო ზომები გაზაფხულის წყალ-დიდობის დროს, რომ რიყეზედ მცხოვრებთ ზარალი არ მოუვიდეთ მტკვრისაგან.

⁂ სოფ. კახი (საინგილო). აქ ამას წინად ერთი საზარელი შემთხვევა მოხდა: მდ. ქურმუხის ნაპირას იპოვნეს გვამი ორი-სამის დღის დაბადებულის ყმაწვილისა, ვაჟისა, რომელსაც კისერზედ მჩვარი ჰქონდა მაგრად წაჭერილი. ბავშვისთვის მჩვარი წაეჭირათ, დაეხრჩოთ და ისე გადაეგდოთ, რადგანაც ბავშვს შუბლიც გატეხილი ჰქონდა. ამ გარემოებამ ინგილო ქალთა შორის დიდი ალიაქოთი და მითქმა მოთქმა გამოიწვია. ვინ იცის ზოგი რას ამბობდა და ზოგიც რასა. ქვრივი დედაკაცები ქალწულებს აბრალებდნენ და ქალწულები ქვრივებისაკენ უთითებდნენ. ზოგი კიდევ იმას ამბობდა, რომ ეს სულ ავი სულისაგან არის წარმომდგარიო: ავსულს ამ ყმაწვილის დედ მამა დაუხოცია, თვითონ ყმაწვილი მოუტაცნია და რადგანაც წყალში ვეღარ გასულა, დაუხრჩვია და წყლის პირას დაუგდიაო (ავსულს თურმე წყლისა ძალიან ჰშინებია!). ამ საქმის გამო მალე გამომძიებელი და მკურნალიც მოვიდნენ

⁂ სოფ. ემირჯალო. ამ წინაზედ აქ ქორწილის დროს სოფლის მამასახლისი მოჰკლეს. როგორც ამბობენ, საქმის გარემოება ასე ყოფილა: მამასახლისი ქორწილში ყოფილა მიწვეული თავისის სამის ცოლით. ერთი ამ ცოლთაგანი ძალიან ლამაზი ქალი ყოფილა. ამ ქალს დიდი ხანია ჰყოლია აძლოლილი ერთი ყმაწვილი კაცი, რომელიც მას წინადადებას აძლევდა ქმრისათვის თავი დაენებებინა და იმას გაჰყოლოდა. ქალს სახალხოდ ვერ დაენებებინა ქმრისათვის თავი, რადგანაც ძალიან ჰშინებია და უთქვამს ყმაწვილისათვის: „თუ შეგიძლიან რომ როგორმე ჩამომხსნა ქმარი, მაშინ სიხარულით გამოგყვებიო“. როდესაც ქორწილში ლხინი და თამაშა გახურებულა, მამასახლისს უბრძანებია ლამაზ ცოლისათვის, რომ ეთამაშნა. ამ დროს საიდღანაც დამბაჩა გავარდნილა და ტყვია გულში მამასახლისს მოჰხვედრია. ეს ამბავი მოხდა გარედ, ეზოში, რადგანაც თათრებმა ქორწილის გადახდა გარედ, ცის ქვეშ, იციან ხოლმე. ყოველი ნათესავი მექორწილისა თითო ურემს შეშას მოიტანს და წაუკიდებს ცეცხლს. ამნაირად გაჩაღებულს ეზოში გაიმართება დიდი ნადიმობა და ლხინი. მკვლელი დღესაც ვერ უპოვნიათ. გამოძიება სწარმოებს. ამბობენ, რომ მამასახლისს ერთის კვირის წინადაც ვიღამაც ესროლა გზაზედ თოფითო.

◆

უცხოეთი

ინგლისი. როგორც „Berl. Tagebl.“-ს ატყობინებენ, ინგლისის სამხედრო სამინისტროში დიდი განხეთქილება თურმე ამ ჟამად: ამბობენ, თუ მართლა სამინისტროში ცვლილებათა შეტანა რობერტსს მიანდეს, სამინისტროს უფრო გავლენიანი და ცნობილი წევრები მაშინვე სამსახურიდგან გადადგებიანო. თავის მხრივ რობერტსიც მხოლოდ ამ ერთად ერთის პირობით თანხმდება თურმე თავისს ახალის თანამდებობის მიღებას, თუ რომ ნებას მისცემენ სამინისტრო ძირეულად შესცვალოს. რობერტსს განზრახვა თურმე აქვს, ან სრულიად უარ-ჰყოს ძველი ტრადიციები, ან და ახალს ადგილზედ უარი განაცხადოს.

ინგლის-ტრანსვაალის ომი. „Frankf. Ztg.“-ის კაპშტადტელი კორრესპონდენტი სრულიად ახალს ნათელს ჰფენს იმ საგანს, თუ ბურებს ინგლისელები ტყვეთ რად მიჰყავთ და თუ მიჰყავთ, შემდეგ რადად ათავისუფლებენ. ეს საგანი სრულიად მოულოდნელად თურმე გამოირკვა ვორჩესტერში, სადაც ამ წინაზედ აფრიკანდერებს კრება ჰქონდათ. სხვათა შორის, კრებას დაესწრნენ ერთისა და იმავე რაზმის ინგლისელნი ჯარის კაცნი, მაგრამ ერთს ნაწილს ამათგანს სამხედრო მუნდირები ეცვა, დანარჩენებს საერო ტანისამოსი, სწერს კორრესპონდენტი. ამხანაგების განსაცვიფრებლად საერო ტანისამოსიანებმა მარცხენა მკლავი ნიდაყვამდე გაიშიშვლეს და ზედ კანზედ ამოჭრილი დასისხლებული ასოები: D. W. O. უჩვენეს, რომელიც გადმოთარგმნით: De Wet's Own ჰნიშნავს დევეტის ყმებს. დადაღულებმა უამბეს ამასთანავე, რომ დევეტმა იგინი ერთის ბრძოლის შემდეგ ტყვეთ წაიყვანა, მაგრამ მალე ისევ გაანთავისუფლა და სიტყვა ჩამოართვა, რომ ბურების წინააღმდეგ აღარ იბრძოლებენ; წინააღმდეგს შემთხვევაში, თუ რომ ხელახლად ხელში ჩაგვივარდე-

---

ლიეს. გერმანიაში ამ გვარადვე არის გამოკვლეული გეტე მისისავე ნაწარმოებების, მეტადრე „ვერტერის“, შემწეობით. რუსეთში ამ გვარი გამოკვლევა ისტორიულ კაცთა დაიწყო ნ. მიხაილოვსკიმ. ამ მხრივ შესანიშნავია მისი „Личность Іоанна грознаго“, სადაც ნ. მიხაილოვსკიმ სულ ახალი აზრი გამოსთქვა რუსეთის მეფის „იოანე მრისხანეს“ შესახებ, როგორც სულით ავადმყოფ ადამიანისა, რომელსაც თავისი ნებასურვილი ვერ შეუმაგრებია და ვერ შეუჩერებია, მაშინ, როდესაც რუსეთის ცნობილნი ისტორიკოსნი კარამზინი, კოსტომაროვი, სოლოვიოვი იმას ყოველ მხრივ საღ ადამიანადა სთვლიდნენ. შემდეგ ნ. მიხაილოვსკის ასეთს მიმართულებას დაადგა ფსიხიატრი კოვალევსკი.

ამ ბოლოს წლებში, მე-80 წლებიდგან დაწყებული, საზოგადოდ სამეცნიერო გამოკვლევის საგნად ბრბოს სულიერი მოძრაობა შეიქმნა. თუმც ევროპაშიაც სოციოლოგები, მეტადრე ტარდი, სიგელე, მომეტებულს ყურადღებას აქცევენ ბრბოს კოლლექტიურ ფსიხოლოგიის გამოკვლევას, მაგრამ არც რუსეთია ამ მხრივ უკან ჩამორჩენილი და აქ დამოუკიდებლად ბრბოს კოლლექტიურ ფსიხოლოგიას იძიებს და ამ საგნის შესახებს მასალას აგროვებს ნ. მიხაილოვსკი. მეტად საინტერესოა ამ მხრივ მისი „Герой и Толпа“ „Патологическая магія“, სადაც მრავალი მოვლენა ბრბოს კოლლექტიურ ფსიხოლოგიისა აღნიშნულია და განმარტებული.

ნ. მიხაილოვსკი იქცევს ყურადღებას, როგორც საუკეთესო მცოდნე პოლიტიკურ ეკონომიისა, ფილოსოფიისა; საუკეთესო მცოდნეა ის კარლ მარქსისა, რასაც ჰმოწმობს თვით მარქსიც. მაგრამ მომეტებული სამსახური ნ. მიხაილოვსკიმ გაუწია რუსეთის მოძღვრება საზოგადოებას ოგიუსტ კონტისა, დარვინისა და სპენსერის მოძღვრებათა ყოველ მხრივ რუსულს ლიტერატურაში განმარტებითა და გავრცელებით. ამ გვარია მისი საუცხოვო წერილები „Суздальцы и Суздальская критика“, „Что такое прогрессъ“, „Теорія Дарвина и общественная наука“, Органъ, недѣлимое, цѣлое“, „Борьба за индувидуальность“, „Соціологія и Дарвинизмъ“, „Вольница и подвижники“. ამ წერილებში ცხადად იხატება ნ. მიხაილოვსკის ვრცელი თვალთა ხედვის ისარი, აქ ცხადად სჩანს იგი, როგორც მკვირცხლი და გამბედავი მოაზრე, ორიგინალი სოციოლოგი.

ნ. მიხაილოვსკი კარგად ამჩნევს მეტის-მეტს, გადაჭარბებულს განაწილებას შრომისას თანამედროვე ცხოვრებაში: მრეწველობაში, მეცნიერებაში, საზოგადოდ ლიტერატურაში და ებრძვის ამ მოვლენას, რადგან იმ აზრისაა, რომ ასე გადაჭარბებით განაწილება შრომისა ადამიანს მეტად ცალ-მხრივ ქმნილებად შეჰქმნის, მანქანად გარდააქცევსო. უფრო სუბიექტიურის მეთოდის მიმდევარი სოციოლოგიაში, ნ. მიხაილოვსკი დიდი მოსარჩლეა და მოტრფიალეა პირადობის ყოველ მხრივ განვითარებისა და თავისუფლებისა. ამ მხრივ ნ. მიხაილოვსკი კონტის მიმდევარია, რადგან ოგიუსტ კონტის იდეალი სპეციალურ ცოდნასთან ერთად ადამიანის საზოგადო განვითარება იყო.

ნ. მიხაილოვსკი მით უფრო იყო ამხედრებული სპეციალიზაციის წინააღმდეგ, რომ ამ თვისებამ მესამოცე წლებიდგან დაწყებული მომეტებული ალაგი დაიჭირა არამც თუ მრეწველობაში, სადაც გარდამეტებულს განაწილებას შრომისას კიდევ აქვს ადგილი, არამედ მეცნიერებაშიაც ძლიერ გამეფდა. ამის გამო ცალ-მხრივობა შეიქმნა დღევანდელის ცხოვრების შინაარსად და აი, ამ ცალ-მხრივობას ყველაზედ მეტად ებრძოდა ნ. მიხაილოვსკი მთელის ორმოცის წლის განმავლობაში და დღესაც ებრძვის, რადგან დროთა ვითარება უფრო და უფრო უწყობს ხელს სხვა-და-სხვა წვრილმანს მიმართულებას. ამ ცალ-მხრივობის წყალობით რუსეთში გაჩნდნენ უკიდურესობაში ჩავარდნილნი ლევ ტოლსტოის მიმდევარნი, ცრუ მარქსისტები, ეგრედ წოდებული ერთ-მხრივად განმარტებული ეკონომიურ მატერიალიზმის მომხრენი, როგორც ჩვენშიაც მოხდა. გაჩნდა სხვა-და-სხვა ახირებული მიმართულება, თუნდა ვოლინსკის „Мозговая Линія“, და ამ უშინაარსო მიმართულებას ნ. მიხაილოვსკი ალევს დღეს თავისს ძალასა და დროს. ამისათვის ზოგნი, უფრო ზემოხსენებულ მიმართულების წარმომადგენელნი, ამბობენ, ნ. მიხაილოვსკი დაწვრილმანდაო, მაგრამ ამისი მიზეზი მისი დაწვრილმანება-კი არა, რუსეთის დღევანდელ სხვა-და-სხვა მიმართულების უშინაარსობა და დაწვრილმანებაა. ამ გვარი ბრძოლა და ძალ-ღონის ხარჯვა აუცილებელია მიხაილოვსკისათვის, როგორც რუსეთის პროგრესიულ მოძრაობის წარმომადგენლისა, რადგან უამისოდ ძნელად დადგება უკეთესი დრო, უფრო შინაარსიანი ცხოვრება. წარმომადგენელი გამათავისუფლებელ რეფორმებისა რუსეთში, საუკეთესო გამომეტყველი ევროპის სამეცნიერო და ფილოსოფიურ აზრებისა, ნ. მიხაილოვსკი წინამორბედია უკეთესის დროისა, როდესაც დღევანდელი რეაქცია სახეს იცვლის ცხოვრებასა და მეცნიერებაში. დღევანდელს რეაქციას უეჭველად უნდა მოჰყვეს უკეთესი დრო, რადგან მემკვიდრეობით გარდაცემა საუკეთე-

ბით, იცოდეთ დაგხვრეტავთო და ეს ნიშნებიც იმიტომ დაგვასვა, რომ გვიცნოსო. მაშასადამე, როგორც ამ გარემოებიდგან სჩანს, მტრის ტყვეთ წაყვანა არც ისე უაზრო და უმნიშვნელო ყოფილა, როგორც ამ წინაზედ ინგლისელები გაიძახოდნენ: რა აზრი აქვს ბურებისაგან ჩვენის ტყვეების წაყვანას, როდესაც ტყვეებს ვერ ინახვენ და მაშინვე ანთავისუფლებენო. პირიქით, დევეტის საშუალება (ტყვეების დადაღვა) უბრალო რამ ყოფილა: ტყვეთ ნამყოფი ინგლისელები ბურებს სათოფეზედაც ვეღარ ეკარებიან თურმე.

„Daily News“-ის სამხედრო კორესპონდენტი ინგლისელთა მდგომარეობის შესახებ სამხრეთ აფრიკაში ძალიან გულგატეხილია. თავის განსაცვიფრებელ სისტემის გამო ბურებს თითქმის ყველა ფერმაში სამხედრო სამზადისის საწყობი აქვთ გამართულიო, — სწერს იგი. კაპის ჰოლლანდიელნიც ბურების მხარეზედ არიან, მაგრამ ჯერ-ჯერობით თავს იმაგრებენ და იარაღს არ ისხმენ, მოხერხებულს დროს უცდიანო. წინად, როდესაც ბრძოლა მხოლოდ ტრანსვაალსა და ორანჟეს რესპუბლიკაში იყო, კაპის ახალშენის ამბოხება ბურებს მხოლოდ მეომართა რიცხვს შესძენდა, ახლა-კი იგივე ამბოხება კიტჩენერს თითქმის ბოლოს მოუღებს, რადგანაც კაპის ჰოლლანდიელთ 35,000 მეომრის გამოყვანა შეუძლიანთ და კიტჩენერი იძულებული იქმნება ძალით როგორმე გაიკაფოს გზა უკან, ისევ ზღვისაკენაო. მაშინ ომი ისევ ხელ-ახლა უნდა დაიწყოს, 100,000 ახალი მეომარი და ამდენივე ცხენი გაგზავნოს ინგლისმა და მერე 100,000 კაცი მზადა ჰყავდესო.

◆◆

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ცისარტყელა! კომედია ა. ცაგარლისა. „მოამბე“, 1900 წ., № 10, 11)

ამ რამდენისამე თვის წინად დაიბეჭდა დრეზდენში ბ-ნ არტურ ლეისტის მიერ გერმანულად ნათარგმნი ქართულის პოეზიის ნიმუშები. წიგნს დართული აქვს თვით მთარგმნელის წერილი ქართველთა სიტყვიერების შესახებ, რომელშიაც ლეისტი, სხვათა შორის, ამბობს, რომ ქართული ლიტერატურა ძალიან სუსტია სატირით, თუმცა თვით სინამდვილე ქართულის ცხოვრებისა ფართო მასალას იძლევა სატირისთვისაო. მართლაც, ჩვენს ლიტერატურაში სატირამ დღემდე ფეხი ვერ მოიკიდა, მაგრამ სამაგიეროდ ჩვენს დრამატიულს მწერლობაში დრამის არც ერთი დარგი არ არის იმდენად განვითარებული და მდიდარი, როგორც კომედია. კომედია და სატირა ერთიერთმანეთობას ვერ განსწევენ, კომედიას თავისი აზრი და მნიშვნელობა აქვს, სატირას თავისი, მაგრამ მათი საერთო ხასიათი, მათი სიუჟეტი თითქმის ერთი და იგივეა. ჩვენის სასცენო სატირები ან კომედიები თუ ჭეშმარიტის სატირის უქონლობას არ აქარწყლებს, ჩვენის სცენის რეპერტუარს ხომ მაინც ამშვენებს მოხდენილის ენით, ჩვენის ზნე ჩვეულების ნაკლულევანებათა გათვალისწინებითა და დაცინვით. ქართულ კომედიის ავტორებში ბ ნ ცაგარელს საპატიო, თითქმის პირველი ადგილი უჭირავს და ამიტომ ვისაც-კი ჩვენის მწერლობისათვის გული შესტკივა, ყველა გაფაციცებით თვალს ადევნებს იმისს ნიჭს.

ჯერ „ცისარტყელის“ სათაურიც არ დასტამბულიყო, რომ „ცნობის ფურცელმა“ საზოგადოებას მიულოცა ბ-ნ ცაგარლის მიერ ახალის კომედიის დაწერა. კერძოდ ჩვენ, და, მგონია, სხვაც ბევრი, მოუთმენლად ველოდდით ამ კომედიას იმ იმედით, რომ იგი ბ ნ ცაგარლის ნიჭის შესაფერი ნაწარმოები იქნებოდა. ეხლა „მოამბე“-ში დასტამბა „ცისარტყელა“! და გვსურს გამოვარკვიოთ, რამდენად გამართლდა საზოგადოების იმედი. წინადვე ვიტყვით, რომ ბ ნი ცაგარელი ნიჭიერი მწერალია და, როგორც ნიჭიერს მწერალს, ბევრი მოეთხოვება.

ბ-ნს ცაგარელს ძალიან კარგად აქვს შეგნებული ის აზრი, რომ კომედიის თუ დრამის შინაარსი მარტივი უნდა იყოს და რომ მოქმედების გადმეტებულს ჩახლართვა-კართულიანებას მხოლოდ ის ნაყოფი გამოაქვს, რომ მკითხველს თუ მსმენელს იმისი შეგნება უძნელდება და ამის გამო გაერთიანებული დრამის მაგივრად ჰხედავს ერთმანეთთან დაუკავშირებელს სცენებს და სცენების ნაგლეჯებს. ყოველის დრამის და, მაშასადამე, კომედიის ტეხნიკაც ყოველის უწინარეს იმას თხოულობს, რომ მისი შინაარსი მარტივი იყოს და არც ერთი მისი ნაწილი არა ჰგავდეს მეხანიკურად, უმიზეზოდ და უაზროდ ჩაკერებულს ელემენტს. როგორც ბ-ნ ცაგარლის სხვა კომედიები, „ცისარტყელა“-ც მარტივია შინაარსით. ჯერ ჯერობით გავაცნოთ მკითხველს ახალის კომედიის შინაარსი.

მალხაზი ჯერ ერთის კვირის ნორჩი ბავშვი იყო, როდესაც მისმა უცნობო დედამ სვირიდონს მიუგდო. სვირიდონი და მისი მეუღლე, სოფიო, უშვილონი იყვნენ და პატარა მალხაზი იშვილეს. ყალბმა დედ მამამ ნამდვილის დედმამურის სიყვარულით გაათბეს მალხაზის გულში კეთილის სიყვარული და ბოროტების სიძულილი. მალხაზი ისე დაიზარდა, ისე დაამთავრა კურსი უმაღლესს სასწავლებელში, რომ არასოდეს ეჭვიც-კი არ შეჰპარვია თავისის ვინაობის შესახებ. კომედია იმ დროს იწყება, როდესაც მალხაზი შემთხვევით, სხვა-და-სხვა საგვარეულო საბუთის ქაღალდების შინჯვის დროს, წააწყდება იმ პაწია წერილს, რომელიც ოც დაექვსის წლის წინად დაეწერა მისს ნამდვილს დედას და მალხაზისათვის გაეტანებინა. წერილში მოკლედ იყო ნათქვამი, რომ ბავშვი ამა და ამ დროს დაიბადა, მონათლულია და ალექსანდრე ჰქვიანო. აქ მალხაზს აგონდება, რომ იმის ნათლობის სახელიც ალექსანდრეა და რომ საბუთის ქაღალდებში იმის დაბადების რიცხვადაც სწორედ ის რიცხვია ნაჩვენები, რომელიც მოხსენებულია წერილში. ამ გარემოებით შეშფოთებულს მალხაზს შეჰხვდება დარია დეუდგრომელაძისა, რომელიც დაწვრილებით უამბობს მალხაზს, როგორ იპოვნეს ის თოვლში სვირიდონის კარებთან 26 წლის წინად. სრულიად დარწმუნებული, რომ ის უცნობო და უცნობის მშობლების შვილია, მალხაზი ეუბნება სვირიდონს: „მე მამობა არ მაკლდა, ამ აზრს ავიტანო“... მაგრამ თავისის ნაბუშრობის შეტყობა მაინც ღრმა კვალს აჩნევს იმისს სულის განწყობილებას. რაც უნდა იყოს, მალხაზის ნამდვილი ვინაობა თითქმის არავინ იცის, იმის უცნობობა ბევრს არავისა აქვს შეტყობილი და მალხაზი ჩინებული სასიძო უმაწვილი კაცია ქვეყნის თვალში. სხვათა შორის, იმის დასიძებას ცდილობენ დიმიტრი და ევგენია, რომელთაც ინსტიტუტში სწავლადამთავრებული ქალი ჰყავთ. დიმიტრისა და ევგენიას ქალი, ელიკო, ფართო იდეალების პატრონი არ არის, მაგრამ ქვეყნის გასაბედნიერებლად ძლიერი მისწრაფება აქვს შრომისა. ელიკოს აზრები ძალიან მოსწონს ახალგაზდა აგრონომს, ნიკოს, მალხაზის მეგობარს, რომელიც თავისის მოძრავისა და მოქმედის ბუნებით საუკეთესოდ ეთანხმება ელიკოს მისწრაფებებს. ელიკო სიტყვას აძლევს ნიკოს, მე შენი ვიქნები და მალხაზს არ გავყვებიო, თუმცა ქვეყნის თვალში საქმე მალხაზზეა გათავებული და არც მტკიცე რამ საბუთი მაქვს მალხაზს უარი ვუთხრაო. ელიკო მართლაც თავის პირობის შესრულებას აპირებს და, როდესაც მალხაზი უკანასკნელად და საბოლოოდ მოსალაპარაკებლად იწვევს ელიკოს, ის უარს უცხადებს. მალხაზი ჰფიქრობს, რომ ელიკოს ჩემი თავგადასავალი შეუტყვია და იმიტომ მწუნობსო, „გულწრფელი არა ხარ! ტყუილს მიზეზებს ეძებ... შენ გითხრეს ჩემი ვინაობა, ან უკეთ ვთქვათ, ჩემი არარაობა და იმიტომ მიცილებ თავიდამო“, კიცხვით ეუბნება მალხაზი ელიკოს. მალხაზი თავის თავს არარაობად სთვლის და ევედრება ელიკოს, რომ ის გადაქცეს იმას გულის მალამოდ. ელიკო დიდს წინააღმდეგობას არ იჩენს და მალე ეთანხმება მალხაზს იმ მოსაზრებით, რომ ნიკო უჩემოდაც ძლიერია და მალხაზის სულის დასამშვიდებლად-კი მე საჭირო ვარო. ელიკო მაინც თავის თავს თითქოს დამნაშავედ ჰგრძნობს, წერილით ატყობინებს ნიკოს თავისს გადაწყვეტილებას, ბოლოში იხდის და მეჯვარედ იწვევს. ნიკო, რომელიც საქმეებისა გამო ამ დროს ქალაქს გარეთ იყო, საჩქაროდ ჰბრუნდება უკან, არწმუნებს ელიკოს, რომ ის მხოლოდ თავისს უბედურს ბედს ემდურება და მუდმივს მეგობრობას აღუთქვამს. დიდი ხანი აღარ გაივლის ქორწილამდე და მალე მოიყრიან თავს დიმიტრის სახლში საქორწილოდ სტუმრები. მალხაზს და ელიკოს მშობლები ჯვარის საწერად ჰლოცავენ. დიმიტრის უეცრივ მოაგონდება ანნა, მოხუცი ერუ გამზრდელი ელიკოსი, რომელსაც დაშინაურებული ჩოხოსანი დათიკო შემოიყვანს დარბაზში მეფე-პატარძლის დასალოცავად. ანნა ჰლოცავს ჯერ ელიკოს და მერე ნიკოს მიუბრუნდება, რადგანაც სამეფო ისა ჰგონია. დათიკო ჩასძახებს ყურში, რომ მეფე მალხაზიაო, მაგრამ ანნა მალხაზის დალოცვის უარს ამბობს, „თათრობა ხომ არ ჩამოვარდა ამ ჩვენს ქვეყანაშიო“, და შემდეგ საჯაროდ აღიარებს, რომ მალხაზი ევგენიას, ელიკოს დედის უკანონო შვილია, რომელიც მე თითონ მივუგდე სვირიდონსაო.

ეს არის ახალის კომედიის მთელი შინაარსი. ბევრს ჰგონია, ვითომც პოეტი თავის ნებისად ჰქმნიდეს თავისს ნაწარმოებს და, როგორც გული და შემოქმედებითი ნიჭი ეტყვის, ისეთს შინაარსს აძლევდეს. ჩვენ ამ აზრისა არა ვართ, ჩვენ გვგონია, რომ შინაარსს ყველგან თავისი მნიშვნელობა აქვს და, თუნდ პოეზიის სხვა დარგებში შინაარსის პოეტიურად შემუშავება შეიძლებოდეს, დრამის შესახებ მაინც ეს არ ითქმის. დრამა მარტო-ოდენ იმითი არის დრამა, რომ წარმოსადგენ არსებათა მოქმედებით, ე. ი. დრამის შინაარსით უნდა სურათდებოდეს როგორც პიროვნებისა, ისე მდგომარეობის პსიხოლოგია. დრამა პოეზიის უღრმესი და უძნელესი დარგია და იმისი სიძნელე სწორედ ის არის, რომ იქ ყოველი აზრი, ყოველი სულის მოძრაობა მოკლედ უნდა დაიხატოს სიმბოლიურის, მოქმედებით. დრამაში ყოველი სიტყვა ყოველი მოძრაობა ანგარიშიანად უნდა იყოს მიმართული პსიხიკის, ან საქმის ვითარების დასასურათებლად და იმავე დროს წარმოსადგენთა ხასიათს უნდა ითვალწინებდეს. ეს დრამის ზოგადი პირობაა და რაც შეეხება კერძოდ კომედიას, იმის შინაარსი ისეთს მდგომარეობას უნდა გვისურათებდეს, რომლითაც ცხოვრება მასხარად იგდებს წარმოსადგენ არსებათა ზნე-ჩვეულების ნაკლულევანებას. ძალიან ძნელია ისეთი მდგომარეობის გამოგონება, რომელიც ასასაცილოებს ადამიანის ზნე ჩვეულებასა და ხასიათს, მაგრამ ეს რომ ადვილი იყოს, მაშინ ხომ არც გასავალი ექნებოდა კომედიის ავტორებს.

(დასასრული იქნება).

◆◆

სასამართლოს მატიანე

სამშაბათს, 9 იანვარს, ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტმა განიხილა, სხვათა შორის, საქმე ქუთაისის გუბერნიის ზუგდიდის მაზრის სოფელ კირცხის მცხოვრების ლევან გახუას ძის ჯალაგონიასი (19 წლისა), რომელსაც თვისსავე სოფლის მცხოვრების ნიკოლოზ მებრონიას მოკვლა ჰბრალდებოდა. საქმის გარემოება შემდეგია. ამ ორი წლის წინად ჯალაგონიასა და მებრონიას გაუცვნიათ ევდოკია პაპავას ქალი და ორივეს მოუნდომებია იგი ცოლად. რადგანაც ევდოკიას მებრონია მოსწონებია, ამიტომ მის ცოლობაზედ დათანხმებულა და კიდეც გაჰყოლია. ჯვარის დაწერის შემდეგ ლევან ჯალაგონია მისულა მებრონიასას და მიულოცნია ევდოკიაზედ დაქორწინება. შემდეგ ეზოში ნიშანზე რევოლვერების სროლაც დაუწყიათ. იმ დროს, როდესაც ერთს მოწმეთაგანს, მექია კორდავას, ნიშნის მაგივრად ღობეზედ ჩამოსაკიდებლად მიუტანია ჩოხა, ჯალაგონიას ამ სიტყვებით „შენ ამისი ღირსი ხარო“, რევოლვერი მებრონიასათვის დაუმიზნია, ერთხელ დაუცლენია, რომლის გამო მებრონიას დრო მოუხელებია და გაქცეულა, მაგრამ ჯალაგონია გამოჰკიდებია და დაუხლია რევოლვერი ნიკოლოზ მებრონიასათვის, რომელიც ამ ჭრილობისგან ორის დღის შემდეგ გარდაცვლილა. ქუთაისის ოლქის სასამართლოში ამ საქმის გარჩევის დროს ზოგიერთ მოწმებს გამომძიებელთან თავიანთი ჩვენება შეუცვლიათ და განუცხადებიათ, რომ ჯალაგონიას რევოლვერი უცაბედად გაუვარდა და მებრონიას მოხვდაო. ბრალდებულს თავი დამნაშავედ არ უცვნია და უთქვამს, მე ამ საქმეში არავითარი განზრახული დანაშაულობა არ მიმიძღვის, რევოლვერი უცაბედად გამივარდა და დაიჭრა ჩემს ახლო მდგომი მებრონია, რომელიც ამ ჭრილობით გარდაიცვალაო. ოლქის სასამართლოს დამნაშავედ უცვნია ლევან ჯალაგონია განზრახ ნიკოლოზ მებრონიას მოკვლის საქმეში და გარდაუწყვეტია ყოველივე პირად თუ მდგომარეობით მოპოვებულ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და 5 წლითა და 4 თვით კატორგაში გაგზავნა.

სო-აზრთა იმატებს და გაძლიერდება.

ერთის მხრივ დარვინის სწავლის გაჩენამ, რომელთანაც მჭიდროდ არის შეკავშირებული თვით კარლ მარქსის მოძღვრება, მეორეს მხრივ მესამოცე წლების განმათავისუფლებელმა რეფორმებმა ევროპასა და რუსეთში გამოიწვია ძლიერი გონებრივი მოძრაობა, მომეტებული მაჯის ცემა, რის გამოც დაიბადა დღევანდელი მრავალ შინაარსიანი ლიტერატურა ვისაც ძალა და ღონე შესწევდა, შეითვისა ეს სწავლა, ვისაც არა, ის ჩამორჩა ამ მიმართულებას, უფრო ვიწრო და პატარა ასპარეზი აირჩია, წვრილმანი მოსაზრება გაიხადა თვისის მოქმედების საგნად და ვერ შეითვისა ევროპის საუკეთესო თანამედროვე მოაზრეთა სული და დედა-აზრი. ამ შემთხვევაში ის მოხდა, რაც ბუნებაშიაც ხშირად ხდება ხოლმე, როდესაც დიდი მდინარე უფრო მეტად ადიდდება, გადმოდის ნაპირებზედ და აქა-იქ შეგუბებულ წყალსა სტოვებს. მდინარე ჩადგება ხოლმე თავისს კალაპოტში, მზე აცხუნებს შეგუბებულს ტბას, ამყრალებულს წყალში უთვალავი პარაზიტებიც ჩნდებიან, და იწყებს იგი ლპობას, მაგრამ ახლო მომავალში მდინარე ისევ ადიდდება და გასწმენდს მყრალს ტბებს. ამ ნაირივეა სოციალური ცხოვრება, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ყოველი ხანა სტოვებს ცოტას რასმე, რაც არის ზედ-ნადები, ცივილიზაციის მოგება, რომლითაც კაცობრიობის წარმატება და წინსვლა იხატება. მომავალში დადგება დრო, როდესაც დღევანდელი წვრილმანობა ცხოვრებასა და ლიტერატურაში მოისპობა, რადგან აუცილებელია ცვლილება დღევანდელს ცხოვრებაში; თვით ახლად ფეხ-ადგმული დღევანდელი რუსეთის მრეწველობაც მეცნიერების წყალობით ფრთებს შეისხავს და გააცხოველებს მიდუნებულს ცხოვრებასა და ლიტერატურას და მაშინ დღევანდელი წვრილმანობა მოისპობა და გაჰქრება და მხოლოდ მოსაგონებლად-ღა დარჩება. ნ. მიხაილოვსკი, ძალა უნებურად გამკლავებული დღევანდელს წვრილმან ცხოვრებასთან, ამ ახალის დროის წინამორბედია ისე, როგორც ბელინსკი, დობროლიუბოვი ნიადაგს ამზადებდნენ მესამოცე წლების განმათავისუფლებელ რეფორმებისათვის. კიდეც იმიტომ ჩვენთვის, ვინც 70,80,90 წლების თაობის წარმომადგენელია, ძვირფასია ნ. მიხაილოვსკი როგორც პირადის გავლენით, ისე ღრმა აზროვანი წერილებით, რითაც რამდენიმე თაობაა აზრდილი.

ჩვენთვის, ქართველებისათვის, ამას გარდა, ნ. მიხაილოვსკი ძვირფასია, როგორც დამცველი ეროვნობისა: მისი ძლიერი ხმა მრისხანედ გაისმა, როდესაც ჩვენს ეროვნებას შეეხნენ. ამიტომ ძლიერ სასურველია ქართველთათვისაც ნ. კ. მიხაილოვსკის მოღვაწეობის გაცნობა, ისეთის კაცისა, რომელიც საუკეთესო გამომხატველია რუსეთის ცხოვრებაში მოწინავე საზოგადოებრივ და სამეცნიერო აზრებისა.

ე. ვაშაკიძე

ტფილისი 19$\frac{10}{XI}$00

ჯალაგონიის ოლქის სა'მართლოს განაჩენი განუსაჩივრებია სამოსამართლო პალატაში, სადაც ბრალდებულს იცავდა ნაფიცი ვექილი ბ-ნი ტურკევიჩი. პალატამ დამნაშავედ იცნო ჯალაგონია და დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

იტალიის სოფელ პიეტროში სცხოვრობს ვიღაც ზოიას ოჯახი. ხუთი ბავშვი სცხოვრობს ამ ოჯახში. ერთი—ცხრამეტის წლის იდა,—დღემდის მეზობელთაგანს არავის უნახავს. რადგანაც ეს ამბავი მოხელეებამდე მივიდა და რადგანაც ეჭვი შეიტანეს, ბოროტ-მოქმედება ხომ არაფერი მოხდაო, ერთ დღეს პოლიციელნი მივიდნენ და ბავშვი იკითხეს. დედ-მამამ პოლიციელნი სალორეში შეიყვანა და იქ ღორებს შორის რაღაც არსება უჩვენა, რომელსაც ადამიანის ნასახობისა არაფერი ჰქონდა. ქალი,—ეს იყო იდა,—სრულიად ტიტველი იყო და ღორებთან ერთად ნაგავსა ჰქექდა. როდესაც ქალი გარედ გამოუთრევიათ, ის უკანვე იწევდა, ყვიროდა და იკბინებოდა. ლაპარაკი სრულიად დავიწყნია ამ ქალს, სიმაღლით $1^1/_2$ არშინია თურმე. ღორებს შორის ეს ქალი 1882 წ. სცხოვრობს. დედ-მამა ამ ქალისა დაუპატიმრებიათ.

* * *

მსწრაფლ მოსიარულე გემი დღეს მრავალია, მაგრამ ყველას გერმანულმა გემმა „გერმანიამ“ გადააჭარბა. ევროპიდგან ნიუ იორკამდე ეს გემი 5 დღეს, 15 საათსა და 46 წუთში მოვიდა; საათში 37 ვერსტს გადიოდა. უფრო ნაკლები დრო მოუნდა უკან დაბრუნებისას: 5 დღე, 14 საათი და 6 წუთი.

* * *

რუსეთის საერო განათლების სამინისტრომ შეჰკრიბა საყურადღებო ცნობები ქალთა საშუალო სწავლა-განათლების შესახებ. როგორც ამ ცნობებიდგანა სჩანს, რუსეთში სულ 476 დედათა საშუალო სასწავლებელია, აქედგან 32 ინსტიტუტია, 30 გიმნაზია იმპერატრიცის მარიამის დაწესებულებისა, 69 საეპარქიო სასწავლებელი და 346 გიმნაზია საერო განათლების სამინისტროსი. სწავლობს იმპერატრიცა მარიამის დაწესებულების გიმნაზიებში—22,246 მოსწავლე, დედათა ეპარქიალურ სასწავლებელში — 15,138, სამინისტროს გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში—94,078, სულ-კი—129,462 მოსწავლე ქალი. 1878 წელს მოსწავლე ქალთა რიცხვი 49,278-ს არ აღემატებოდა.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 იანვარი

პეტერბურგი. 10 იანვარს მოსკოვიდგან პეტერბურგს მობრძანდნენ დიდი ჰერცოგინია ჰესენისა და დიდი მთავრინა ელისაბედ თეოდორეს ასული.

10 იანვარს ხელმწიფე იმპერატრიცა უავგუსტოესის ქალითურთ ჰბრძანდებოდა დიდს ბრიტანიას საელჩო დედოფალის ვიქტორიის გარდაცვალების გამო. საელჩოში მობრძანდნენ აგრეთვე დიდი მთავრები: ვლადიმერ ალექსანდრეს ძე, ანდრია ვლადიმერის ძე, ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძე, სერგეი მიხეილის ძე და პრინცი პეტრე ალექსანდრეს ძე ოლდენბურგელი.

ლონდონი. დედოფალი დამარხული იქმნება სამეფო ტაგრუცში ფროგმორს მისის მეუღლის გვერდით; მეფე ლონდონში მოსვლისათანავე ჯერ მალბოროგაუზში მივა, შემდეგ სენტ-ჯემის სასახლეს საიდუმლო საბჭოში, რომელიც 2 საათზედ შეიკრიბება ლორდ-მერისა და შერიფთა თანადასწრებით; ხოლო საბჭოს შემდეგ მეფე ლორდთა პალატაში მივა პალატის სხდომაზედ დასასწრებლად.

კოუსიდგან იუწყებიან, რომ დედოფლის გვამი არც ოსბორნში იქმნება გამოსვენებული და არც ვინძორში; დედოფლის გვამი დასვენებულია ოსბორნის სემგლოვიარო სენაკში; სასახლის მოსამსახურეთ მიუშვებენ გვამის თაყვანისაცემლად ერთის დღის განმავლობაში; კუბოს ალბად ხვალ საღამოს გამოასვენებენ ვინძორიდგან; დამარხვა-კი მალე არ იქნება, მრავალი სამძიმრის დეპეშა მოდის. მეფესა და იორკის ჰერცოგს ოსბორნში დღეს საღამოს მოელიან. დილის 10 საათზედ მეფე, ჰერცოგნი კონნაუტისა და იორკისა, ბალფური და გრაფი კლარენდონი გემით „ალბერტ“-ით პორტსმუტში გაემგზავრნენ, ხოლო იქიდგან ლონდონში წავლენ. როცა მეფე გემზედ ავიდა, აფრიალებულ იქმნა სამეფო ბაირაღი. დღის 1-ლ საათზედ სადგურ „ვიქტორიაში“ მოვიდნენ; ყველას საერო ტანისამოსი ეცვა; მეფე ცოტა ფერ-მკრთალადაა, მაგრამ ჯანმრთელად კია; იგი დახურულ კარეტით მალბორო-გაუზში წავიდა, გზადა გზა თავს უკრავდა ხალხს, რომელიც ხმა ამოუღებლად ქუდს უხდიდა.

პარიჟი. გაზეთები ერთხმად აღიარებენ ვიქტორიის გარდაცვალებას დიდად თვალ საჩინო შემთხვევად. „Masin“-ი სწერს, რომ ბისმარკის სიკვდილი უმნიშვნელო მოვლენა იყო დედოფალ ვიქტორიის სიკვდილთან შედარებითო. დედოფალმა აალორძინა ინგლისი, გაზეთებს ტრანსვაალის ომი უსამართლოდ მიაჩნიათ და ირწმუნებიან, რომ უკვე დაიწყო ინგლისის ძლიერებისა და დიდების დაცემა და თავისს თავს ეკითხებიან: ახალი მეფობა იქმნება თუ არა ისეთი ბედნიერი, როგორიც იყო მისის დედის მეფობაო; გაზეთები წინასწარმეტყველობენ, რომ ინგლისის პოლიტიკაში დიდი ცვლილებანი მოხდებაო.

სოფია. შეწყნარებულ იქმნა ივან ჩოვის კაბინეტის გადადგომა. ახალის კაბინეტის შედგენა მინდობილი აქვს პეტროვს.

პეტერბურგი. 6 იანვარი. ბირჟა. ვირავნობის ფურცლები: ტფილისის საადგილ-მამულო ბანკისა $5^0/_0$-იანში იძლევიან $92^1/_2$ მან., $4^1/_2{}^0/_0$-ში—$86^1/_4$ მან.; ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის $6^0/_0$-ში იძლევიან 100 მან., $5_0/^0$-ში—$92^1/_2$ მან.

პეტერბურგი. „მართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია საერო განათლების სამინისტროს ცნობა კიევის წმ. ვლადიმერის უნივერსიტეტში მომხდარ უწესოებათა შესახებ. შემდეგ ნათქვამია, რომ ამ უწესოების გამო საერო განათლების მინისტრმა წინადადება მისცა კიევის ოლქის მზრუნველს, 7 დეკემბრის უწესოებაში მონაწილე სტუდენტების შესახებ: მოქმედებაში მოიყვანეთ ის დროებითი, წესები, რომელიც დადგენილია, რათა უმაღლეს სასწავლებლების მოსწავლეებმა, დათხოვნით ამა სასწავლებლებიდგან საერთო უწესოებათა ჩადენისათვის, სამხედრო ბეგარა გარდაიხადონო. კანონის თანახმად შემდგარმა განსაკუთრებულმა საბჭომ, რომლის წევრებადაც იყვნენ წარმომადგენელნი საერო განათლებისა, შიგან საქმეთა და სასჯულო საქმეთა სამინისტროსანი 15 სხდომა მოანდომა 11-დგან 31 დეკემბრამდის ამ საქმის განხილვას, ჩვენება ჩამოართვა ყველას, ვინც 7 დეკემბრის უწესოებაში მონაწილეობა მიიღო, მოისმინა რა დამსწრეთა წერილობითი ჩვენებანი და ხმის უმეტესობით დაადგინა: დამნაშავედ იქმნენ ცნობილი წმ. ვლადიმერის უნივერსიტეტის ყველა სტუდენტები, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს 7 დეკემბრის უწესოებაში, გამოირიცხნენ უნივერსიტეტიდგან და ჩაირიცხნენ სამხედრო სამსახურში სხვა-და სხვა ვადით: ა) ორი სტუდენტი სამის წლით, ბ) ხუთი სტუდენტი ორის წლით და გ) ყველა დანარჩენნი, რომელთა შორის ურევია ერთი სხვა უნივერსიტეტის სტუდენტიც, რიცხვით 385 სტუდენტი ერთის წლით, და ესე დადგენილება წარედგინოს საერო განათლების მინისტრს მისდა დასამტკიცებლად. საერო განათლების მინისტრმა, განიხილა-რა წარდგენილი ოქმები და განსაკუთრებულ საბჭოს დადგენილებანი თანდართულ საბუთის ქაღალდებითურთ, შემდეგი საბოლოო გარდაწყვეტილება დაადგინა: 1) დამტკიცებულ იქმნას განსაკუთრებულ საბჭოს დადგენილება პირველ რიგის ორის სტუდენტისა და მეორე რიგის ხუთის სტუდენტის შესახებ; 3) დამტკიცებულ იქმნას საბჭოს დადგენილება 7 დეკემბრის უწესოებაში, ჩარეულ მესამე რიგის 176 სტუდენტის შესახებ, რომელთაც მხურვალე მონაწილეობა მიუღიათ 7 დეკემბრის უწესოებაში, ანუ ამ უწესოებაში მონაწილეობის გარდა, წინად მომხდარ უწესოებათა დროსაც შენიშნულნი ყოფილან; 4) ხოლო დადგენილება მესამე რიგის იმ 209 სტუდენტის შესახებ, რომელთაც მხოლოდ ის ბრალი ედებათ, რომ დასწრებიან 7 დეკემბრის უწესოებას და წინედ მომხდარ უწესოებათა დროსაც შენიშნულნი არა ყოფილან, გაუქმდეს და ამ სტუდენტებს საყვედური გამოეცხადოს, ამ საყვედურის დასაჯარიმებელ ჟურნალში აღნიშვნით, აღარავითარი შეღავათი არ მიეცეთ უნივერსიტეტში სწავლის განმავლობაში და ამასთანავე გაფრთხილებულ იქმნენ, რომ თუ კიდევ მიიღეს მონაწილეობა უწესოებაში, აწინდელი მათი საქციელი მათის დანაშაულის გამაძლიერებელ გარემოებად იქმნება მიჩნეული.

შავ-ჭირთან საბრძოლველად დაარსებული კომიტეტი იუწყება: „პრინცი პეტრე ალექსანდრეს ძე ოლდენბურგელი, უმაღლესის ბრძანებით რუსეთის სამხრეთ აღმოსავლეთის გუბერნიებში გაგზავნილი, რათა ახლად გაჩენილ გადამდებ სენის წინააღმდეგ ღონის ძიებანი მიიღოს იცნობება: სოფელ ვლადიმიროვკაში მოისპო ავადმყოფობანი. სოფელ ალოვკის ახლო მდებარე სამს დაბაში სამარის გუბერნიაში 9-დგან 27 დეკემბრამდე 61 კაცი გახდა ავად, რომელთაგან 44 გარდაიცვალა. ტებეკაისა, ტუბეკსა და მერეკში ავადმყოფობა არ შემწყდარა. 6 იანვარს სამი კაცი გახდა ავად და ეს სამივე ახლად ავად გამხდარი გარდაიცვალა. მისმა უმაღლესობამ საჭიროდ იცნო დაათვალიეროს კასპიის ზღვის ჩრდილოეთის ნაპირნი, ყირგიზის ტრამალი და ის ადგილები, სადაც მდ. ვოლგა ზღვას ერთვის.

წერილი რედაქციის მიმართ

—

უღრმესს მადლობას ვუძღვნი პატივცემულს დეკან. ლამბაშიძეს, რომელმაც „ვლადივოსტოკის ქართულს სამკითხველოს“ ას ცალამდის სხვა-და-სხვა წიგნაკი რელიგიურის შინაარსისა ქართულსა და რუსულს ენაზედ უფასოდ გამოუგზავნა. ესრეთვე მადლობას ვუძღვნი იოსებ ლეჟავას, (უდაბურ წყალ-წმინდელს), რომელმაც ოცი ცალი სხვა-და-სხვა წიგნები შემოსწირა და დოქებით დ. აბაშაში მცხოვრებს ბაგრატ ივანეს ძე დოლიძეს, რომელმაც შემოსწირა ცამეტი ცალი სხვა-და-სხვა წიგნები. ვთხოვთ ყველა გულშემატკივართ, ჩვენის ჯერედ ნორჩის „ვლადივოსტოკის ქართულ სამკითხველოსათვის ნუ დაიშურებენ თავიანთს წვლილს შემოწირულებანი ამ ადრესით შეიძლება გამოიგზავნოს: Владивостокъ. священнику О. Соломону Имерлишвили.

„ვლადივოსტოკის ქართულ სამკითხველოს“ დამაარსებელი მღვდ. სოლომონ
იმერლიშვილი

სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში განსახილველად დანიშნულია შემდეგი საქმეები:

13 იანვარს:

სამსონ გურეშიძისა, კაცის მკვლელობა ჰბრალდება.

ვასილ პილიშვილისა, რომელსაც კაცის მოკვლის განზრახვა ედება ბრალად.

დიმიტრი მურადხალაშვილისა, რომელსაც საექციზო წესდების დარღვევის ბრალი ედება.

მიხეილ ონიანისა, რომელსაც კაცის დაჭრა ჰბრალდება.

საშახ თორმაიასი, რომელსაც კაცის მოკვლის განზრახვა ედება ბრალად.

ანტონ ქიტუაშვილისა, რომელსაც კაცის ხანჯლით დაჭრა ჰბრალდება;

[illegible]ერმილე კოჩიაშვილისა, რომელსაც ჩუმად არყის გამოხდის ბრალი ედება.

16 იანვარს:

ტაკვია ცვიჟბაიასი, რომელსაც კაცის მოკვლა ჰბრალდება.

დიმიტრი გვახარიასი, რომელსაც კაცის მოკვლა ჰბრალდება.

ლუკა მაისურაძისა, რომელსაც სასჯელთა დებულების მე-1480 მუხ. აღნიშნული დანაშაულობის ჩადენის ბრალი ედება.

სტეფანე ნიკოლაიშვილისა, რომელსაც სიყალბის ჩადენა ჰბრალდება.

20 იანვარს:

ალექსი გულიტაშვილისა, რომელსაც კაცის მოკვლა ჰბრალდება.

განცხადებანი

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. 3 მან. და 1 მ. 50 კაპ.

ახალი საშუალება

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გმოვიდა კიდევ ახალი საშუალება

„კვერცხის რძე“

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარს კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია:** დიდი ქილა —2 მან; პატარა - 1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და საავთექო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ №15, სადგ. 10. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. საავთექო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში. იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის საავთექო მაღაზიაში.

ქალაქ გარედ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გაეგზავნებათ. (100—211—27)

20 **იანვრიდგან ტფილისში** გაიხსნება ახალი საკომერციო სასწავლებელ

საბუჰგალტერო კლასები

მოზრდილ ქალებისა და ვაჟებისათვის.

სავალდებულო საგნებია:

1) ბუჰგალტერია.
2) ანგარიში ჩოთქზედ.
3) საკომერციო კორესპონდენცია.
4) საკომერციო არითმეტიკა.
5) საბანკო საქმე.
6) კალიგრაფია (ლამაზად წერა).
7) ტეხნოლოგია.
8) სავაჭრო საქონლის ცოდნა.
9) სავაჭრო კანონები.
10) კომერცია.

არა სავალდებულო საგნები:

უცხო ენები და სტენოგრაფია. საბუჰგალტერო კლასებში მიიღებენ სამოქალაქო სასწავლებლებსა და საშუალო სასწავლებელთა 3 კლასში სწავლა-დამთავრებულ ქალებს და ვაჟებს არა უმცროს 15 წლისას, ანუ ვინც დაწესებულს გამოცდაზედ გაიმარჯვებს. სწავლა რამდენსამე სემესტრად იქმნება დაყოფილი. მთელის კურსის სწავლის ფასი 60 მანეთია. თხოვნები მიიღება კლასების კანცელარიაში, მიხეილის ქუჩა, № 56, ანუ კურსების დამაარსებელთან, მიხეილის ქუჩა, № 71.

(15—6.—3) კურსების დამაარსებელი **ი. ი. ბრონ-ფონ ბრიწნერი.**

Дозволено цензурою. Тифлисъ, 11-го Января 1901 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხ.

რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე**